

წამებისა და არაადამიანური
მოპყრობის მსხვერპლთა
სამართლიანი დაკმაყოფილება და
არსებული სასამართლო პრაქტიკა



2019

წინამდებარე დოკუმენტში ასახულია საქართველოში პენიტენციური და სამართალდამცავი უწყებების თანამშრომელთა მხრიდან განხორციელებული წამების, არაადამიანური, ღირსებისშემლახავი მოპყრობის შედეგად მსხვერპლთა მიმართ სამართლიანი კომპენსაციით დაკმაყოფილების პრაქტიკა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე და არსებული გამოწვევები.

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმოებაში არსებული საქმეებიდან დაზარალებულ პირებს წარმოადგენენ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი მსჯავრდებულები და ის პირები, რომლებიც დაექვემდებარნენ წამებას, არაადამიანურ, ღირსებისშემლახავ მოპყრობას, როგორც პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების, ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან.

აღიარებულია, რომ საქართველოში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე სამართალდამცველების მხრიდან, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, სისტემატურად ხორციელდებოდა მსჯავრდებულთა მიმართ წამება და არაადამიანური/ღირსებისშემლახველი მოპყრობა. ახალი ხელისუფლების პირობებში შესაბამისმა უწყებებმა აიღეს პასუხისმგებლობა, ეფექტიანად გამოეძიებინათ 2012 წლამდე მომხდარი ფაქტები. საქართველოს პარლამენტმა 2016 წელს მიიღო დადგენილება „2004-2012 წლებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების სამართლებრივი შეფასების, მათი განმეორების დაუშვებლობისა და სრული პრევენციის შესახებ“¹.

აღსანიშნავია, რომ ნაკისრი ვალდებულების მიუხედავად, ახალი ხელისუფლების პირობებში, ეფექტიანად არ არის უზრუნველყოფილი ძალადობის მსხვერპლთა სამართლებრივი რეაბილიტაცია, წარსულში დარღვეული უფლებების აღსადგენად. იმის გათვალისწინებით, რომ წამება წარუშლელ კვალს ტოვებს ადამიანის ცნობიერებასა და ჯანმრთელობაზე, სახელმწიფომ დღემდე ვერ შეიმუშავა შესაბამისი პოლიტიკა, რომელიც მოახდენდა წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას.

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმოებაში არსებული საქმეებიდან ნათელია, რომ ორგანიზაციამ შექმნა პრეცედენტები, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია წამების მსხვერპლთა კომპენსაციით დაკმაყოფილება სასამართლოსადმი მიმართვის გზით.

ადამიანის უფლებათა სფეროში საერთაშორისო ნორმები კრძალავს წამების გამოყენებას ნებისმიერ გარემოებაში. წამებისა და სასტიკი, არაადამიანური, ღირსებისშემლახველი მოპყრობის პრაქტიკა, მის წინააღმდეგ ბრძოლა და ეფექტიანი გამოძიების წარმართვა საქართველოში დღემდე განგრძობად სისტემურ პრობლემას წარმოადგენს.

მიუხედავად არაერთი სისტემური და საკანონმდებლო რეფორმისა, სახელმწიფოს შესაბამისმა უწყებებმა დღემდე ვერ უზრუნველყვეს:

¹ საქართველოს პარლამენტის დადგენილება, იხ. ლინკი: <http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/48014/5432-II%E1%83%A1 %E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98 %E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A7%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1>

- განსაზღვრულიყო და პრაქტიკაში დანერგილიყო ეფექტიანი ღონისძიებები წამებისა და სასტიკი მოპყრობისაგან მსხვერპლთა რეაბილიტაციის მიზნით;
- სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო, შეექმნა სრულყოფილი საკანონმდებლო და პრაქტიკული ბაზა, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებთან იქნებოდა მიახლოებული და სრულად მოახდენდა ეფექტიანი გამოძიების წარმართვას, მსხვერპლთა რეაბილიტაციას და სამომავლოდ წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციას;
- არ იქნა უზრუნველყოფილი კომპეტენტური, დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს შექმნა და მის მიერ ობიექტური, მიუკერძოებელი, სრულყოფილი გამოძიების ჩატარება;
- ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლთა სამართლებრივი კომპენსირება.

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მსჯავრდებულები, ძირითადად, აღარ გამოთქვამენ პრეტენზიებს წამებისა და არასათანადო მოპყრობის მიმართულებით, მაგრამ დღემდე ფიქსირდება ძალადობრივი, არასათანადო მოპყრობის ფაქტები, რასაც ადგილი აქვს საქართველოს შსს-ს თანამშრომლების მხრიდან პირის დაკავებისას. საყურადღებოა, როგორია სახელმწიფოს შესაბამისი საგამოძიებო უწყებების დამოუკიდებულება, რამდენად სარწმუნოდ და სრულყოფილად მიიჩნევენ მსხვერპლის ჩვენებას, როდესაც მსხვერპლი საუბრობს მის მიმართ განხორციელებულ წამებასა და ძალადობაზე და ხდება თუ არა თავად საგამოძიებო უწყების მხრიდან მტკიცებულებების მოპოვება მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის პრინციპის დაცვით.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „რიბიჩი ავსტრიის წინააღმდეგ“ განმარტა, რომ სახელმწიფო პასუხისმგებელია ყოველ ადამიანზე, რომელიც იმყოფებოდა პატიმრობაში, რადგანაც ეს უკანასკნელი მთლიანად სახელმწიფოს ძალაუფლების ქვეშაა. ამ პერიოდში სხეულის დაზიანებების მიყენების შემთხვევაში სწორედ მთავრობამ უნდა წარმოადგინოს მტკიცებულებები, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებს განმცხადებლის მიერ აღწერილ მოვლენებს, განსაკუთრებით - იმ შემთხვევაში, როდესაც განმცხადებლის ჩვენებები სამედიცინო დოკუმენტაციითაა განმტკიცებული. სასამართლომ აღნიშნა, რომ ნებისმიერი ქმედება თავისუფლებააყრილი პირის მიმართ, ფიზიკური ძალის ნებისმიერი გამოყენება, რომელიც არ იყო სრულიად აუცილებელი ამ პირის საქციელის გამო, ლახავს მის ადამიანურ ღირსებას და კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას წარმოადგენს. დამნაშავეობასთან ბრძოლა და ბრძოლის უდავო სირთულე არ უნდა გახდეს პიროვნების ფიზიკური ხელშეუხებლობის შემზღვევის საფუძველი.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მთავარ გამოწვევად აღნიშნავს, რომ მსხვერპლებს, რომლებიც დაექვემდებარნენ წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას 2012 წლამდე, სახელმწიფო დღემდე არ აძლევს ადეკვატურ კომპენსაციას და სამართლებრივი რეაბილიტაცია წლების განმავლობაში გაჭიანურებულია.

წინამდებარე ანალიტიკურ დოკუმენტში წარმოდგენილია წამების მსხვერპლთა მეტ-ნაკლებად ადეკვატური კომპენსაციით უზრუნველყოფის შემთხვევები; აღწერილია ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმოებაში არსებულ საქმეთა მოკლე სამართლებრივი ანალიზი; ასახულია ის სამართლებრივი და პრაქტიკული სპეციფიკა, რაც დაკავშირებულია მსხვერპლისთვის სასამართლოს მიერ კომპენსაციის მინიჭებასთან.

1. მსჯავრდებულთა საქმეები, რომლებიც დაექვემდებარნენ წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას სასჯელაღსრულების დაწესებულებებში

➤ თ. რ. - ს საქმე

ადამიანის უფლებათა ცენტრი, წლების განმავლობაში, იცავს №6 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის, თ. რ.-ს ინტერესებს, რომელიც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში, წლების განმავლობაში, არაადამიანური მოპყრობისა და წამების მსხვერპლი იყო, რამაც მის ჯანმრთელობაზე მძიმე კვალი დატოვა. განხორციელებული წამების შედეგად მას განუვითარდა მხედველობის მნიშვნელოვანი დაქვეითება ორივე თვალზე, რაც საჭიროებს გადაუდებელ ოპერაციულ ჩარევას.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა მსჯავრდებულის მიმართ განხორციელებულ წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტზე მიმართა ყველა შესაბამისს უწყებას, რათა მომხდარიყო საქმის შესწავლა და რეაგირების მოხდენა საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით.

მსჯავრდებული 2013 წლის 17 მაისს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №6 დაწესებულების თანამშრომლების მიერ ამავე დაწესებულების პატიმართა წამების ფაქტზე ცნობილ იქნა დაზარალებულად. დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების თანახმად, დადგინდა, რომ №6 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განხორციელდა მსჯავრდებულის ცემა, წამება, რის შედეგადაც დაზარალებულს მიყენებული აქვს ფიზიკური და მორალური სახის ზიანი. მსჯავრდებულს ადამიანის უფლებათა ცენტრის სამართლებრივი დახმარების შედეგად, სასამართლოს გადაწყვეტილებით, კომპენსაციის სახით აუნაზღაურდა 20 000 ლარი.

➤ დ. გ. -ს საქმე

მსჯავრდებული სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში წლების განმავლობაში არაადამიანური მოპყრობისა და წამების მსხვერპლი იყო, რამაც მის ჯანმრთელობაზე მძიმე კვალი დატოვა.

დ. გ. 2013 წლის 5 აგვისტოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №6 დაწესებულების თანამშრომლების მიერ ამავე დაწესებულების პატიმართა წამების ფაქტზე ცნობილ იქნა დაზარალებულად. დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების თანახმად, №6 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განხორციელდა დ. გ.-ს ცემა-წამება, რის შედეგადაც დაზარალებულს მიყენებული აქვს ფიზიკური და მორალური სახის ზიანი.

მსჯავრდებულს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში, ფიზიკური და ფსიქოლოგიური წამების შედეგად, განუვითარდა მხედველობის დაქვეითება, ამასთან,

ფეხზე საჭიროებს ოპერაციას. მსჯავრდებული, ასევე, საჭიროებს გადაუდებელ ოპერაციულ ჩარევას კისრის მალეების თიაქარისა და ხერხემლის, წელის მიდამოში. ამავე დროს, მნიშვნელოვანია, რომ მოსარჩელე ფინანსური პრობლემების გამო ვერ ახდენს სრული გამოკვლევების ჩატარებას.

დ. გ.-ს საქმე ამ ეტაპზე განიხილება თბილისის საქალაქო სასამართლოში, სადაც მოთხოვნილია კომპენსაციის დადგენის საკითხი.

➤ ლ. ჭ.-ს საქმე

ადამიანის უფლებათა ცენტრი იცავს მსჯავრდებულ ლ.ჭ.-ს სამართლებრივ ინტერესებს, რომელიც დაზარალებულად არის ცნობილი სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ორ სისხლის სამართლის საქმეში. მსჯავრდებული ლ.ჭ. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში წლების განმავლობაში არაადამიანური მოპყრობისა და წამების მსხვერპლი იყო, რამაც მის ჯანმრთელობაზე მძიმე კვალი დატოვა.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა მსჯავრდებულისადმი წამების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა ადამიანის უფლებათა ცენტრის სასარჩელო მოთხოვნა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლის სასარგებლოდ 60 000 ლარის გადახდა დააკისრა, მორალური ზიანის კომპენსაციის სახით. მოპასუხე მხარემ აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

➤ პ. ფ.-ს საქმე

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №16 დაწესებულების თანამშრომლების მიერ წლების განმავლობაში ხორციელდებოდა წამება და ფსიქოლოგიური ძალადობა მსჯავრდებული პ.ფ.-ს მიმართ, რამაც მის ჯანმრთელობაზე მძიმე კვალი დატოვა.

დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების თანახმად, 2015 წლის 31 დეკემბერს პ.ფ. გათავისუფლდა სასჯელისაგან.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა მსჯავრდებულისადმი წამების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. *თბილისის საქალაქო სასამართლომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, მსჯავრდებულის სასარგებლოდ, დააკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება 5000 ლარის ოდენობით. სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დარჩა უზენაესი სასამართლოს ჩათვლით.*

➤ ვ. ნ.-ის საქმე

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმოებაში იყო მსჯავრდებულ ვ.ნ.-ის საქმე, რომელიც ქვემო ქართლის საოლქო პორკურატურამ 2013 წლის 8 მაისის დადგენილებით ცნო

დაზარალებულად სასაჯელაღსრულების დეპარტამენტის მოხელეების მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო. დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144³ მუხლის მეორე ნაწილის "ა", "ბ", "დ", "ე" და "ზ" ქვეპუნქტების შესაბამისად, რაც გულისხმობს პირის წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას, რამაც ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია. დაზარალებული ითხოვდა 270 000 ლარის დაკმაყოფილებას კომპენსაციის სახით.

2017 წლის 14 ივლისს საქალაქო სასამართლომ საქართველოს სასაჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მსჯავრდებულის სასარგებლოდ დააკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება 5000 ლარის ოდენობით.

2019 წლის 29 მარტს თბილისის სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

➤ **გ.ჭ-ს საქმე**

ადამიანის უფლებათა ცენტრი იცავს მსჯავრდებულ გ.ჭ-ს ინტერესებს, რომელიც დაზარალებულად არის ცნობილი სასაჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან, 2008-2011 წლებში, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ორ სისხლის სამართლის საქმეში. გ.ჭ. სასაჯელაღსრულების დაწესებულებაში, წლების განმავლობაში, არაადამიანური მოპყრობისა და წამების მსხვერპლი იყო, რამაც მის ჯანმრთელობაზე მძიმე კვალი დატოვა.

მსჯავრდებული გ.ჭ. სასამართლო გზით ითხოვდა დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, რაშიც იურიდიულ დახმარებას ადამიანის უფლებათა ცენტრი უწევდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ მომზადებული სასარჩელო მოთხოვნა და სასაჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლის სასარგებლოდ, 25 000 ლარის გადახდა დააკისრა, მხოლოდ მორალური ზიანის კომპენსაციის სახით.

2. კომპენსაციის მინიჭება მსხვერპლთა მიმართ, რომლებიც დაექვემდებარნენ წამებას, არაადამიანურ, ღირსების შემლახველ მოპყრობას საქართველოს შსს-ის თანამშრომლების მხრიდან

➤ ბ.რ.-ს საქმე

ადამიანის უფლებათა ცენტრი იცავდა ბ.რ.-ს სამართლებრივ ინტერესებს, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2014 წლის 24 ნოემბერს მიღებული განაჩენით, დაზარალებულად არის ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი თანამდებობის პირის მხრიდან არაადამიანური, ღირსებისა და პატივის შემლახველ მოპყრობის ფაქტზე. ადამიანის უფლებათა ცენტრმა ბ.რ.-ს საქმეზე სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. მოსარჩელემ შინაგან საქმეთა სამინისტროსგან ფიზიკური და მორალური ზიანის ანაზღაურება მოითხოვა - ფიზიკური ზიანისთვის 30 000 ლარი, ხოლო მორალური ზიანისთვის - 50 000 ლარი. აღნიშნულ სარჩელზე საქალაქო სასამართლომ ხარვეზი დაადგინა. განჩინებაში, ხარვეზის დადგენის შესახებ აღნიშნული იყო, რომ კანონით, სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან მოსარჩელე მხოლოდ ფიზიკური ზიანის ანაზღაურების ნაწილში იყო გათავისუფლებული.

სახელმწიფო ბაჟის შესახებ კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან: მოსარჩელე – დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების შესახებ სარჩელზე, ასევე ამავე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან: მოსარჩელენი – სარჩელეებზე ზიანის ანაზღაურების შესახებ, რომელიც მიყენებულია დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით. შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის შესახებ კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტში არ არის გამიჯნული და დაკონკრეტებული მხოლოდ ფიზიკური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება. ამის გათვალისწინებით, კანონის აღნიშნული დათქმის თანახმად, მოსარჩელე, სასარჩელო მოთხოვნის მიხედვით, გათავისუფლებული უნდა იყოს სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან.

ადამიანის უფლებათა ცენტრს არაერთი მსგავსი საქმე აქვს წარმოებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე როგორც საქალაქო, ისე სააპელაციო სასამართლოში. ყველა ასეთ საქმეზე მოსარჩელები სასამართლომ იმავე საფუძვლით გაათავისუფლა სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ყველა მათგანი იყო კაცი პატიმარი, ხოლო ქალ პატიმართან მიმართებაში სასამართლომ, რატომღაც, განსხვავებული მიდგომა გამოიყენა. საჭიროა, რომ სასამართლოს

ერთგვაროვანი პრაქტიკა ჰქონდეს ყველა მსჯავრდებულის მიმართ და არ დაფიქსირდეს დისკრიმინაციული მიდგომა.

იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელეს მორალური ზიანის - 50 000 ლარის მოთხოვნისთვის საკმარისი ბაჟის გადახდის საშუალება არ ჰქონდა, სარჩელში სასამართლოს მიერ დადგენილი „ხარვეზი“, საშუალების მიხედვით, გასწორდა - მოსარჩელე იძულებული გახდა და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 10 000 ლარი მოითხოვა და, სახელმწიფო ბაჟის სახით, 300 ლარი გადაიხადა.

2018 წლის აგვისტოს თვეში თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ მომზადებული სასარჩელო მოთხოვნა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მსხვერპლის, ბ.რ.-ს სასარგებლოდ, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის საფუძველზე, 5 000 ლარის გადახდა დააკისრა, მორალური ზიანის კომპენსაციის სახით².

2018 წლის დეკემბრის თვეში თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2018 წლის 18 აგვისტოს მიღებული გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ბ.რ.-ს სასარგებლოდ, მორალური ზიანის კომპენსაციის სახით, 5 000 ლარის გადახდა დააკისრა.

➤ ლ.გ.-ს საქმე

მთავარი პროკურატურის 2013 წლის 22 ივლისის დადგენილებით, ლ.გ. დაზარალებულად იქნა ცნობილი 2011 წლის 26 მაისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების რაზმების მიერ ქ.თბილისში, რუსთაველის გამზირზე გამართული საპროტესტო მიტინგის დაშლისას ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების არაპროპორციული გამოყენების შედეგად მიყენებული მორალური და ფიზიკური ზიანის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2018 წლის 5 მარტს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, მორალური ზიანის სახით, დაზარალებულის სასარგებლოდ, დააკისრა 2500 ლარის გადახდა.

2018 წლის 7 ივნისს სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, ასევე, უცვლელად დატოვა თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილება.

➤ ჟ.გ.-ს საქმე

ჟ.გ. საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 22 ივლისის დადგენილებით ცნობილია დაზარალებულად 2011 წლის 26 მაისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების რაზმების მიერ ქ.თბილისში, რუსთაველის გამზირზე

² იხ. ლინკი: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19513&lang=geo>

გამართული საპროტესტო აქციის დაშლისას ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების არაპროპორციული გამოყენების შედეგად მიყენებული მორალური და ფიზიკური ზიანის გამო.

2017 წლის 7 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაზარალებულის სასარგებლოდ, მორალური ზიანის სახით, დააკისრა 5000 ლარის გადახდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2018 წლის 20 სექტემბერს უცვლელად დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაასაჩივრა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, მოითხოვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის დაკისრებული ზიანის ანაზღაურების გაუქმება.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს დღემდე არ მიუღია გადაწყვეტილება.

➤ **მ. გ. - ს საქმე**

მ.გ. საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 22 ივლისის დადგენილებით ცნობილია დაზარალებულად 2011 წლის 26 მაისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების რაზმების მიერ ქ.თბილისში, რუსთაველის გამზირზე გამართული საპროტესტო აქციის დაშლისას ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების არაპროპორციული გამოყენების შედეგად მიყენებული მორალური და ფიზიკური ზიანის გამო.

2018 წლის 1 თებერვალს, თბილისის საქალაქო სასამართლომ, ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვის საფუძველზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს მორალური ზიანის ანაზღაურების სახით, მ.გ.-ს სასარგებლოდ, დააკისრა 5000 ლარის გადახდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2018 წლის 30 ნოემბერს უცვლელად დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაასაჩივრა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, მოითხოვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის დაკისრებული 5000-ლარიანი ზიანის ანაზღაურების გაუქმება.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს დღემდე არ მიუღია გადაწყვეტილება.

➤ **გ.გ.-ს საქმე**

გ.გ. საქართველოს მთავარი პროკურატურის 2013 წლის 22 ივლისის დადგენილებით, ცნობილია დაზარალებულად 2011 წლის 26 მაისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების რაზმების მიერ თბილისში, რუსთაველის გამზირზე გამართული საპროტესტო აქციის დაშლისას ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების არაპროპორციული გამოყენების შედეგად მიყენებული მორალური და ფიზიკური ზიანის გამო.

2017 წლის 12 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ შინაგან საქმეთა სამინისტროს, მორალური ზიანის ანაზღაურების სახით, გ.გ.-ს სასარგებლოდ დააკისრა 30 000 ლარის გადახდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2018 წლის 14 სექტემბერს უცვლელად დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაასაჩივრა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, მოითხოვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის დაკისრებული 30000-ლარიანი ზიანის ანაზღაურების გაუქმება. უზენაესმა სასამართლომ, 2019 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაზარალებულის სასარგებლოდ, მორალური ზიანის სახით, დააკისრა 30 000 ლარის გადახდა.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს სახელმწიფოს შესაბამის უწყებებს: მხარი დაუჭიროს ახლო წარსულში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლთა სამართლებრივი რეაბილიტაციის ყოველ მცდელობას, რომელსაც ძალადობის მსხვერპლები მიმართავენ და სამართლიანად მოითხოვენ მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებას.

საყურადღებოა, სასამართლოს შეფასება და დამკვიდრებული პრაქტიკა, თუ როგორ ღვინდება პირის მიმართ მიყენებული ზიანისა და კომპენსაციის შესაბამისობა.

წარმოებული საქმეების სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე ადამიანის უფლებათა ცენტრი აღნიშნავს:

- მნიშვნელოვანია, სახელმწიფო ხელისუფლების თანმდებობისა თუ საჯარო მოხელეთა მიერ ჩადენილი არცერთი დანაშაულებრივი ქმედება არ დარჩეს გამოუძიებელი და უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისი კვალიფიკაციით სასჯელის შეფარდება;
- აუცილებელია, დაზარალებულთა უფლებების აღდგენა და მათი რეაბილიტაცია განხორციელდეს სამართლიანი სასამართლოს პირობებში;
- მნიშვნელოვანია, კომპენსაციის მინიჭება არ იყოს წლების მანძილზე გაჭიანურებული პროცესი და სახელმწიფომ შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები და ხელოვნურად არ შეუშალოს ხელი წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლთა სამართლებრივ რეაბილიტაციას.